დანართი №2

## შრომითი პირობები თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისთვის

1. სამუშაო მოიცავს:

   ა) შესაბამისი განყოფილებაში მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით;

   ბ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას აფილაციად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.

2. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით, ბრძანებით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი და დებს მასთან შესაბამის შრომით ხელშეკრულებას.
3. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.
4. სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).
5. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.
6. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით, ობსერვატორიის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.